სიმღერავ, უხმე

რამდენჯერა ვთქვი თუ ვისთვის მინდა
სევდიან სიმთა მწუხარე ჟღერა:
რამდენჯერ ეჭვი მეწვია წყნარი,
რამდენჯერ ხელში ავიღე ქნარი,
რომ დამემსხვრია და არ მემღერა.
ამ დროს მწყუროდა, რომ მიმემალა
ჩუმი ქვითინი და სიმთა წკირა.
ხალხისთვის, ჩემში რაც ძლევას ქმნიდა –
ჩემი ოცნება და წმინდათ–წმინდა,
დაუბრუნებლად, მთლად შემეწირა.
მეც ვშთანოქმულიყავ მწყრალ ჟრიამულში,
მომეკლა სულის ვედრება წრფელი,
მაგრამ სიმღერის გადავიწყება,
ჰანგთა დამარხვა და დამიწება
ვერ შევიძელი, ვერ შევიძელი.
სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.